შპს „კტც საქართველო"

საიდენტიფიკაციო კოდი: 400127545

ფინანსური ანგარიშგება **2022**წლის **31** დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია …….....3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....8

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10

ზოგადი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კტც საქართველო"-ს (ს/კ:400127545) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

შპს კტც საქართველო რეგისტრირებულია 2014 წლის 26 საქართველოს (დამატებითი ღირებულების გადამხდელად 2014 წლის 30 ოქტომბერს). კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ანდრეი შერბინა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით (საგზაო).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, გ.რობაქიძის გამზ., N 7, კორპუსი N 1, ბ. 53

1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 2022 წლის 1 იანვრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

2. მსს ფასს-ზე გადასვლა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეხუთე ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

3. საღრიცხვო პოლიტიკა

საწარმოს ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით (საგზაო)., აღნიშნული საქონელი შემოდის იმპორტით.

- ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

- ოპერაცია და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (აშშ დოლარი) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2022, 2021 და 2020 წლის 31დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31დეკემბრისთვის	2.70	202.8844
კურსი 2021 წლის 31დეკემბრისთვის	3.09	763.5040
კურსი 2020 წლის 31დეკემბრისთვის	3.27	664.0233

4. საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო")

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც .თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში და ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. ფინანსური ანგარიშგება –გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

6. სრული შემოსავლების ანგარიშგება

- ბასს18-ის თანახმად შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

- შემოსავლის სახეებია: საოპერაციო და არასაოპერაციო.

- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციისფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლებიაღირიცხება დაანგარიშგებაშიაისახებანეტო ღირებულებით ე. ი.მესამე პირის ხელით ამოღებული თანხების (დღგ აქციზი) გარეშე;
- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში და აისახება მისი წყაროების მიხედვით;
- ხარჯები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით; ○წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად;
- სხვა მიზნით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

ფორმა**N1**-ფინანსურიმდგომარეობა

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	581 822.00	296 755.00	130 976.00
სავაჭრო მოთხოვნები	2	325 413.00	1079294.00	907 886.00
გადახდილი ავანსები და დარიცხულიმისაღებიშემოსავალი	3		68 236.00	71 187.00
მარაგები		1 129 531.00	417 322.00	886 573.00
- მზა პროდუქცია				
- სხვა	4	1 129 531.00	417 322.00	886 573.00
საინვესტიციო ქონება				

სხვა მიმდინარე აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	422.00	422.00	422.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულა ქტივები		2 037 188.00	1 862 029.00	1 997 055.00

ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	6	1 344 787.00	1 254 654.00	1 740 501.00
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		66 459.00	76 207.00	80 610.00
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7			
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	8			
სულ ვალდებულებები		1 411 246.00	1 330 861.00	1 821 111.00
საკუთარიკაპიტალი				

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	618 895.00	524 121.00	168 897.00
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
საკუთარი კაპიტალი		7 047.00	7 047.00	7 047.00
სულ საკუთარი კაპიტალი		625 942.00	531 168.00	175 944.00

ფორმა N2 საქმიანობის შედეგი

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	10	269 342.00	558 101.00
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	11		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა	12		
გაყიდვების თვითღირებულება			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		269 342.00	558 101.00

სხვა შემოსავალი			750.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(143 850.00)	(157 303.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	14		
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	15		
იჯარის ხარჯი	16	(24 482.00)	(26 670.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(50 379.00)	(40 611.00)
სულ საოპერაციო ხარჯები		(218 711.00)	(223 834.00)

საოპერაციო მოგება		50 631.00	334 267.00

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	18		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		44 143.00	20 957.00
მოგება/(ზარალი)მოგების სგადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		94 774.00	335 224.00
მოგების გადასახადი			
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		94 774.00	335 224.00

ფორმა N3 კაპიტალის მოძრაობისნგარიშგება

კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		531 168.00	175 944.00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
გასულიპერიოდისშეცდომისგასწორებისგავლენა	19		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		625 942.00	531 168.00

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

კომპანიის აქტივებს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები,სავაჭრო მოთხოვნები,წინასწარ გადახდილი ავანსები, ძირითადი საშუალებები და მარაგები.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში და ფულ სგზაში.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
ბანკი	581 822.00	296 755.00
სალარო	0	0

2. სავაჭრო მოთხოვნები- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობი სშედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობაში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე
    - ყოველი სამეუნეო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას (დებიტორული დავალიანება), რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობა.
    - უიმედო ვალის (საეჭვო მოთხოვნები) არსებობის შემთხვევაში აღიაროს ხარჯად ეროვნულიკანონმდებლობისშესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2022 წლის ბოლო მდგომარეობით შეადგენს325 413.00 ლარს.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი-წარმოადგენს ბიუჯეტში გადახდილი თანხები საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის და მოთხოვნებს პერსონალის მიმართ.

4. მარაგები: მარაგის თვითღირებულება მოიცავს: შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვით ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.
მარაგის საწყისი ნაშთია 417 322.00 ლარი, ხოლო საბოლოო მარაგის ნაშთი შეადგენს 1 129 531.00 ლარს.

5. ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება ბასს-16-ით „ძირითადი საშუალებების"შესაბამისად, თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაომ დგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

	2022 წელი		2021წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	422 ლარი		422 ლარი

6. სავაჭრო ვალდებულებები - მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს შპს-ს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების გადაყვანა ხდება ფუნქციონირებად ვალუტაში (ქართულ ლარში) ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით ანუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავისმოვალეობებს საქონლის მოწოდებასან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიას კრედიტორული დავალიანებებს წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებები, წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსაურებასთან დაკავშირებით.

კრედიტორული დავალიანების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 344 787.00 ლარს. სადაც უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები გადაფასებულია ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით.

7. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები - კომპანიას აქვას აღებული სესხი პარტნიორისგან უცხოურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება ეროვნულ ვალუტაში (ქართულ ლარში) თვის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

სასესხო ვალდებულების ნაშთი 2022 წლის ბოლო მდგომარეობით შეადგენს 66 459.00 ლარს.

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება. საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები) საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელიმოგებისაგან. საწესდებო კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და სხვადასხვა რეზერვებს.

2022 წლის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 625 942.00 ლარს.

8. ნეტო ამონაგები- ამონაგები მოიცავს შემოსავლებ სრეალიზაციდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყიდეველებისთვის. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების, სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. ამონაგების თანხა მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

		2022	2021
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	10	269 342.00	558 101.00

9. მარაგების შესყიდვა-წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლომატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს შეძენის (ნასყიდობის) ფასს; სატრანსპორტო, დატვირთვა-

გადმოტვირთვის დანახარჯებს. სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად, როგორც ხარჯი.

10. დასაქმებულთა ანაზღაურება-შრომის ანაზღაურება მთლიანად მოიცავს, როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანზღაურებას. 2022წელს შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინადარიცხული 143 850.00 ლარი.

11. ცვეთა და ამორტიზაცია- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზეგასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადისმანძილზე. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთით:

- შენობა ნაგებობა - 5%
- საოფისე აღჭურვილობა - 20%
- ავეჯი და მოწყობილობა - 20%
- სატრანსპორტო საშუალებები - 10%
- სხვა ძირითადი საშუალება - 20%

12. იჯარის ხარჯი- იჯარა კალსიფიცირდება, ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად ან ფინანსურ იჯარად.
    - ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა არის ნებისმიერი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად.
    - ფინანსური იჯარა ისეთი ტიპის იჯარაა, რომლის დროსაც აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკიდა ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს.

კომპანიას საწყობი ფართი იჯარით აქვს აღებული შპს "ლილო 1"- სგან.

2022წელს იჯარის ხარჯმა შეადგინა 24 481.00 ლარი.

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი-მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების

საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

2022 წლის საანგარიშო პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი ჯამურად შეადგენს 50 379.00 ლარს და იშიფრება შემდეგნაირად:

იურიდიული მომსახურების ხარჯი	8 073.00 ლარი
ლოჯისტიკის მომსახურების ხარჯი	25 530.00 ლარი
ბუღალტრული მომსახურება	8 400.00 ლარი
ბანკის მომსახურების ხარჯი	4 232.00 ლარი
სხვაარასაოპერაციოხარჯები	4 142.00 ლარი
ჯამი	50 379.00ლარი

დირექტორი

დავით ნაზარბეგოვი

30.09.2023